საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

# განრიდების პროგრამების
# (განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის)
# 2019 წლის ანგარიში

სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“
განრიდებისა და მედიაციის დეპარტამენტი

თბილისი
2020

# შესავალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“, როგორც განრიდების პროგრამების მართვასა და კოორდინირებაზე პასუხისმგებელი უწყება, ყოველწლიურად, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს განრიდების მექანიზმის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს პროკურორების, სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და მოსამართლეებისათვის, ასევე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ საქმიანობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უწყებათაშორის მონიტორინგის ღონისძიებებს, ჩართულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, საგრანტო პროექტების დაფინანსებას ბენეფიციართათვის სერვისების გაფართოების და არასამთავრობო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს შერწყმამდე, 2020 წლის 01 იანვრამდე, სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის განრიდებისა და მედიაციის მიმართულებით საქმიანობის 2019 წლის ანგარიშს, მასში წარმოდგენილია პროგრამის განვითარების შესახებ მოკლე ინფორმაცია, 2019 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები და განრიდების პროგრამების დეტალური სტატისტიკა.

# ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ

განრიდების პროგრამები 21 წლამდე ასაკის პირისათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა 21 წლამდე ასაკის პირისათვის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

განრიდება/განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამზარალებლისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 21 წლამდე ასაკის პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდების მექანიზმი. 21 წლამდე ასაკის პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი დაუკავშირდება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის გადაცემას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებებს და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ განსარიდებელს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება. მედიატორი დაზარალებულსა და განსარიდებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას. დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: განსარიდებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი (18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის განრიდების შემთხვევაში), მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად 21 წლამდე ასაკის პირს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. განრიდებულს დახმარებას გაუწევენ სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ განსარიდებლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება

განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ზოდიშის მოხდა საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს კანონთან კონფლიქტში მყოფ ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 21 წლამდე ასაკის პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. შესაძლებელია, რომ განრიდებულმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ასეთ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას პროკურორს, პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს განრიდებული და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად, კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილებაა აგრეთვე ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით, პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარ არის.

# 2019 წელს  განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

2019 წლის მარტში, განრიდების პროგრამების ხარისხის კონტროლის მექანიზმის შემუშავებაში მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწვეული ჩრდილოეთ ირლანდიელი ექსპერტი, რომელმაც მოამზადა შესაბამისი რეკომენდაციები და სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო 2020 წელს განაგრძობს მუშაობას მათ ანალიზზე. განრიდების პროგრამების ხარისხის კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით.

მარტის თვეში, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერითა და მოწვეული ექსპერტის ჩართულობით გაიმართა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები საქართველოს პროკურატურასთან, სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით. შეხვედრებში/ტრენინგებში მონაწილეობდნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართული პროფესიონალები, პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები და გამომძიებლები. არასრულწლოვანთა თემაზე მომუშავე პროფესიონალებმა მიიღეს ინფორმაცია აღდგენითი მართლმსაჯულების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების, განახლებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ფორმების, განრიდების მექანიზმის, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისა და ინდივიდუალური მიდგომების შესახებ. შეხვედრების უმთავრეს მიზანს განრიდების პროგრამების ფარგლებში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება, პროგრამის შედეგების გაცნობა და უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესება/დახვეწა წარმოადგენდა.

2019 წლის აპრილში, თბილისში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას ევროპის 7 ქვეყნიდან მოწვეული ექსპერტები (ჩრდილოეთ ირლანდია, ჰოლანდია, ნორვეგია, ფინეთი, ბელგია, ავსტრია და ესპანეთი) და 8 ქვეყნის დელეგაცია (უკრაინა, სომხეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, ბელორუსი, მაკედონია, ალბანეთი, ბოსნია ჰერცოგოვინა) იღებდა. ღონისძიება ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ორგანიზებითა და დანაშაულის პრევენციის ცენტრთან პარტნიორობით გაიმართა. კონფერენციის ფარგლებში, ასევე გაიმართა ტრენინგი/სამუშაო შეხვედრა მედიატორებისათვის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესების მიზნით, რომელსაც ნორვეგიელი ექსპერტი, პრაქტიკოსი მედიატორი ხელმძღვანელობდა.

2019 წლის აპრილსა და ივლისში, ევროკავშირის პროექტების მხარდაჭერით გაიმართა ტრენინგი „აღდგენითი მართლმსაჯულება - მედიაცია სისხლის სამართალში“ პრობაციის ოფიცრებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის სოციალური მუშაკებისათვის. ივნისში, ევროკავშირის პროექტების მხარდაჭერით, ასევე გაიმართა სამუშაო შეხვედრა მოსამართლეებისათვის აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის საკითხებზე. შეხვედრები/ტრენინგები მიზნად ისახავდა პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და მოსამართლეების ცნობიერების ამაღლებას აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხებზე, ამ მიმართულებით ქართული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და უწყებათაშორისი კოორდინაციის მექანიზმის გაუმჯობესებას.

2019 წლის ოქტომბერში,  ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით, მედიატორებისათვის გაიმართა სამუშაო შეხვედრები/სუპერვიზიის სესიები - „მედიატორთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება“. აქტივობა მოიცავდა სუპერვიზიის სესიებს

მედიატორებისათვის, განრიდების პროგრამებში მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობასა და სამუშაო შეხვედრას მოსამართლეებთან აღდგენითი მართლმსაჯულების საპილოტე პროგრამის - მედიაცია სისხლის სამართალში, ფარგლებში საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით.

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ორგანიზებითა და დაფინანსებით, ოქტომბრის თვეში, სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული თანამშრომლები, მათ შორის, მედიატორები, სხვა უწყებების წარმომადგენლებთან ერთად, სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ ბელგიის ქალაქებში - ბრუსელსა და ლუვენში აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით. სასწავლო ვიზიტი მიზნად ისახავდა, აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმების გამოყენების ბელგიის საკანონმდებლო ჩარჩოსათვის გაცნობას, აღდგენითი მართლმსაჯულების პოპულარიზაციის პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღებას, სხვა სამუშაო შეხვედრებისა და ვიზიტების საშუალებით, ბელგიური გამოცდილების გაზიარებას აღდგენით მართლმსაჯულებაში.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს 10 მხარეში გაიმართა სამუშაო შეხვედრები/ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაცია GCRT-ს თანამშრომლობით, რომელიც ახორციელებს ევროკავშირის პროექტს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა“. შეხვედრებში მონაწილეობას იღებნენ ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ადგილობრივ დონეზე დასაქმებული პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები, გამომძიებლები და სხვა უწყებების წარმომადგენლები. შეხვედრების ერთ-ერთ ძირითად მიზანს, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის გაძლიერება და უწყებათაშორისი კოორდინაციის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

2019 წლის ნოემბერში სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრში პრაქტიკა გაიარეს საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროს მომავალმა საჯარო მოხელეებმა სსიპ იუსტიციის სასწავლო ცენტრის ეგიდით. მათი პრაქტიკის მიზანი იყო საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, განრიდების პროგრამებისა და აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ გამოცდილების/ინფორმაციის მიღება.

ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებითა და მხარდაჭერით, 2019 წლის ნოემბერში გაიმართა კონფერენცია ბავშვის უფლებათა კონვეციის 30 წლის, საერთაშორისო აღდგენითი მართლმსაჯულების კვირეულისა და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის დანერგვის იუბილის ფარგლებში.

2019 წლის განმავლობაში განრიდების, აღდგენითი მართლმსაჯულებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით ქართული გამოცდილებით დაინტერესდნენ 5 ქვეყნის - ეგვიპტის, ყირგიზეთის, უკრაინის, ალბანეთისა და უზბეკეთის წარმომადგენლები, დაიგეგმა და გაიმართა სამუშაო შეხვედრები მათი ინტერესის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და ქართული გამოცდილების გაზიარების მიზნით.

# პროგრამის შედეგები

2019 წლის  განმავლობაში განრიდებულ იქნა 797 პირი, აქედან 437 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 360 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). აქედან 408 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 328 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2019 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 4430, 21 წლის ასაკამდე პირი.

**2019 წელს განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:**

## სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით




წლებისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე
2019
437
360
2018
497
401
2017
476
436
2016
462
322
2015
297
2014
204
2013
332
2012
124


სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით 2019 წელს
60
50
40
30
20
10
0
26
26
42
34
30
34
33
32
36
32
39
38
51
20
39
35
34
24
42
20
28
34
37
31
იანვარი
თებერვალი
მარტი
აპრილი
მაისი
ივნისი
ივლისი
აგვისტო
სექტემბერი
ოქტომბერი
ნოემბერი
დეკემბერი
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე


სტატისტიკური მონაცემები სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 2019 წელს
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე
312
390
48
47
მამრობითი
მდედრობითი


სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით
14-დან 18 წლამდე
18-დან 21 წლამდე
240
273
197
87
ნაკლებად მძიმე
მძიმე


სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის კატეგორიისა და დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით
მძიმე დანაშაული
ნაკლებად მძიმე დანაშაული
42
42
58
52
51
60
46
86
30
85
37
103
20
85
14 წლის
15 წლის
16 წლის
17 წლის
18 წლის
19 წლის
20 წლის


სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით
18-დან 21 წლამდე
14-დან 18 წლამდე
12 თვე
0
1
11 თვე
0
0
10 თვე
0
3
9 თვე
0
0
8 თვე
0
9
7 თვე
4
11
6 თვე
22
52
5 თვე
69
97
4 თვე
123
151
3 თვე
110
94
2 თვე
27
16
1 თვე
5
3


წარმატებით დასრულებული მედიაციის საქმეები
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
18%
51%
40%
39%
44%
55%
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი


წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები წლების
მიხედვით 14 დან 21 წლის ასაკამდე პირებს შორის
350
300
250
200
150
100
50
0
28
114
222
268
290
328
2014 წელი
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი


სტატისტიკური მონაცემები, ასაკის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის დროს
160
140
120
100
80
60
40
20
0
84
110
111
132
115
140
105
14 წლის
15 წლის
16 წლის
17 წლის
18 წლის
19 წლის
20 წლის


განრიდების ხელშეკრულებების გაფორმებით დასრულებულ საქმეებთან
დაკავშირებული მონაცემები 2019 წელს
2%
11%
50%
37%
დაზარალებული არ არსებობდა
მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა
სხვა

## მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც დაზარალებული არსებობდა




მედიაციის პროცენტული მაჩვენებელი 21 წლამდე ასაკის სრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც არსებობდა მედიაციის წინაპირობა
მედიატორის უარი
20%
მედიაცია შედგა
47%
დაზარალებულის
უარი
33%

ფიზიკური პირების მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული მაჩვენებელი (2019)




იურიდიული პირების მედიაციის პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებული მაჩვენებელი (2019)




განრიდებისა და მედიაციის კონფერენციაზე
პროკურორების დასწრების მაჩვენებელი(2019)
ესწრებოდა
26%
არ ესწრებოდა
74%


განრიდებისა და მეიდაციის კონფერენციაზე
სოციალური მუშაკების დასწრების მაჩვენებელი
(2019)
ესწრებოდა
22%
არ
ესწრებოდა
78%


დაზარალებულთა მონაცემები
14-დან 18 წლამდე განრიდებული
18-დან 21 წლამდე განრიდებული
151
143
262
189
20
24
იურიდიული პირი
ფიზიკური პირი
დაზარალებულის გარეშე


2019 წლის მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით 14-დან 21 წლამდე პირებს შორის
90
80
70
60
50
40
30
20
10
0
დასავლეთ საქართველოს საოლქო
ქუთაისი
ზესტაფონი
საჩხერე
სამტრედია
ამბროლაური
ჯახეთის საოლქო
გურჯაანი
სიღნაღი
თელავი
სამცხე-ჯავახეთის საოლქო
ახალციხე
ახალქალაქი-ნინოწმინდა
სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო
ფოთი
ზუგდიდი
სენაკი
მესტია
შიდა ქართლისა და მცხეთა-...
გორი
ხაშური
მცხეთა
ქვემოქართლის საოლქო
რუსთავი
ბოლნისი
მარნეული
აჭარის ა/რ პროკურატურა
ბათუმი
ხელვაჩაური
ოზურგეთი
ქ. თბილისი
გლდანი-ნაძალადევი
დიდუბე-ჩუღურეთი
ვაკე-საბურთალო
ისანი-სამგორი
ძველი თბილისი
გენერალური პროკურატურა


სტატისტიკური მონაცემები თბილისის მასშტაბით რაიონული პროკურატურების მიხედვით 2019 წელს
ქ. თბილისის პროკურატურა
6%
ძველი თბილისის
რაიონული პროკურატურა
7%
ისანი-სამგორის რაიონული
პროკურატურა
24%
გლდანი-ნაძალადევის
რაიონული პროკურატურა
33%
ვაკე-საბურთალოს
რაიონული პროკურატურა
18%
დიდუბე-ჩუღურეთის
რაიონული პროკურატურა
12%


მედიატორის უარის განმაპირობებელი გარემოებები
არაემპათიური დამოკიდებულება განსარიდებელთან
1
სხვა
1
უარი მედიატორთან შეხვედრაზე
36
რთული მეტეოროლოგიური პირობები
1
მხარის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა
3
მხარის დატვირთული დღის განრიგი
45
მხარის (ოჯახის წევრის) ჯანმრთელობის მდგომარეობა
19
მხარეებს შორის კონფლიქტი ამოწურულია
7
მხარე იმყოფება/მიემგზავრება საზღვარგარეთ განუსაზღვრელი ვადით
23
მხარე გამოხატავს უკმაყოფილებას საქმიდან გამომდინარე პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით
1
ენობრივი ბარიერი
1
დაზარალებულს აქვს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ინტერესი და ავლენს გულგრილ დამოკიდებულებას მედიაციის პროცესის მიმართ
1
დაზარალებულს აქვს მომეტებული აგრესია განსარიდებლის მიმართ
5
0
10
20
30
40
50
რაოდენობა


აღდგენითი მართლმსაჯულების საპილოტე პროგრამის „მედიაცია სისხლის სამართალში“ შესახებ 2019 წლის სტატისტიკა
შინაარსის გათვალისწინებით მიზანშეუწონლად მიიჩნია ცენტრმა მედიაციაზე მუშაობის დაწყება
1
მიმდინარე
4
მედიაციაზე უარი განაცხადა მსჯავრდებულმა
1
მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა
3
მედიაცია წარმატებით დასრულდა
1
ინფორმაციის გადმოცემაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა
2
დაზარალებულთან დაკავშირების/კომუნიკაციის შეუძლებლობა
3
0
1
2
3
4
5

**2019 წელს მიღებული მიმართვების სტატისტიკა - აღდგენითი მართლმსაჯულების საპილოტე პროგრამის „მედიაცია სისხლის სამართალში“ ფარგლებში**



## განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები

<u>სერვისები და ვალდებულებები</u>

### განათლება

- წაიკითხოს სხვადასხვა წიგნი, მაგ.: „სამართლის ქალაქი“, და სხვა მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურა;
- დაწეროს ესე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: „დანაშაულის მაპროვოცირებელი მიზეზები, მისი შედეგები და თავიდან აცილების გზები“, „რომ არა განრიდების პროგრამა“, „ავტოსაგზაო შემთხვევათა გამომწვევი მიზეზები და მათი თავიდან აცილების გზები“, „როგორ წარმომიდგენია ჩემი თავი ხუთი წლის შემდეგ“, „ჩემი უფლებები და ვალდებულებები“, „თუ ჩემთვის მნიშვნელოვანს სხვა მომპარავს“, „გამოხატვის თავისუფლება“ , „რა მასწავლა ამ შემთხვევამ და რას გავითვალისწინებ მომავალში“, „ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობის მოხმარების შედეგად გამოწვეული საფრთხეები და რისკები“, „კომპიუტერული თამაშების თანმხლები საფრთხეები და რისკები“, „ძალადობა მოზარდებში-გამომწვევი მიზეზები და დაძლევის გზები“ და სხვა.);
- ჩაერთოს კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებში;
- გააუმჯობესოს სკოლაში აკადემიური მოსწრება, აკონტროლოს საკუთარი ქმედება და დაიცვას კანონი;
- მოიძიოს ინფორმაცია საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ და გააკეთოს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ანალიზი, საჭიროებისამებრ, სოციალური მუშაკის დახმარებით;
- მოიძიოს ინფორმაცია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, არსებულ კანონმდებლობაზე და განიხილოს სოციალურ მუშაკთან;
- მოიძიოს და გაეცნოს ინფორმაციას ყალბი დოკუმენტის შეძენა, შენახვა, გამოყენების უარყოფითი შედეგების თაობაზე;
- კომპიუტერის შემსწავლელ კურსებში ჩართულობით გაიუმჯობესოს შესაბამისი უნარ-ჩვევები;
- სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობიდან წაიკითხოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეული კანონი/მუხლ(ებ)ი;
- ქართულ ენაზე წერა-კითხვის გაუმჯობესების მიზნით შეასრულოს სოციალური მუშაკის მიერ შერჩეული სხვადასხვა დავალება;
- მოიძიოს ინფორმაცია ძალადობრივი ქმედების, მათი შედეგების შესახებ და წარუდგინოს სოციალურ მუშაკს;
- მიეწოდოს ინფორმაცია ფსიქო-აქტიური ნივთიერებების მოხმარების უარყოფითი შედეგების შესახებ და წარუდგინოს მიღებული ინფორმაცია სოციალურ მუშაკს;
- სოციალური მუშაკის მიერ შერჩეულ თემაზე მოამზადოს ფოტო კოლაჟი;
- გაეცნოს შესაბამის ლიტერატურას, მოიძიოს წყაროები და მოამზადოს ანალიტიკური ესე ფსიქო-აქტიური ნივთიერებების და კონკრეტულად, მარიხუანას ნეგატიური გავლენის შესახებ;
- გაიაროს ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი.

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში და დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ეფექტური კომუნიკაცია“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ასერტული ქცევა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „დანაშაულის გაცნობიერება“;
- გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან შესაბამისი საჭიროების მიხედვით. მათ შორის, სტრესული გამოცდილების დაძლევის, თამაშდამოკიდებულების დაძლევის ან სხვა მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ბრაზის მართვა“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „მომავლის დაგეგმვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „პოზიტიური აზროვნება “;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „სტრესის მართვა“;
- მიიღოს ფსიქოლოგის/ფსიქიატრის მომსახურება დესტრუქციული ქცევების შემცირების მიზნით;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროგრამა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „გემბლინგი-აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ადამიანის უფლებების, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „უფლებები და ტოლერანტობა“;
- დაესწროს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტრენინგებს შემდეგ თემებზე: „ადრეული ქორწინება“, „ბულინგი“, „დამოკიდებული ქცევა“ და ა.შ.
- ანტისოციალური ქცევის პრევენციის მიზნით, ჩაერთოს არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში;
- მოხალისეობრივი აქტივობებით ჩაერთოს საქველმოქმედო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან დანაშაულის უკეთ გააზრების, ალკოჰოლის არამართლზომიერად მოხმარების, აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენის, ნევროლოგიური პრობლემების სამედიცინო გზით მოგვარების აუცილებლობის გაცნობიერების მიზნით;

- გაიაროს კონსულტაცია მანდატურის ცენტრის ფსიქოლოგთან;
- ჩაერთოს ტატუს მოცილების პროგრამაში.

**შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები**

- სასკოლო სასწავლო პროცესის ფარგლებში გაკვეთილებზე დროულად გამოცხადებისა და გაცდენის შეზღუდვა;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;
- შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- ქალაქიდან გასვლის შეზღუდვა პროკურორისა და სოციალური მუშაკის ნებართვის გარეშე;
- თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, ვინც შეიძლება შეუწყოს ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას;
- მოერიდოს თავისუფალ დროს, თავშეყრის ადგილებში ყოფნას და არ მიიღოს ალკოჰოლი;
- მოიძიოს ინფორმაცია დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ.

**დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები**

- დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი;
- ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს;
- დაეხმაროს დაზარალებულს დაზიანებული ნივთის შეკეთებასა და მოვლაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს მაღაზიაში სხვადასხვა საქმიანობაში;
- მიწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც უამბობს საკუთარი თავის, თავისი ქმედების შესახებ და მისდამი დამოკიდებულების შესახებ;
- დაეხმაროს დაზარალებულს საკარმიდამო ნაკვეთის მოწესრიგებაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს დანაშაულის შედეგად დაზიანებული სახლის მოწესრიგებაში.

**სპორტი და ხელოვნება**

- დაკავდეს ხეზე კვეთით და წარმოადგინოს ხისგან დამზადებული ნაკეთობა;
- არასამთავრობო ორგანიზაციის ბენეფიციარები ავარჯიშოს: ფეხბურთში; ფარიკაობაში; ჭიდაობაში.
- იაროს სპორტის უფასო წრეზე;
- დაეხმაროს მწვრთნელებს ასაკით უმცროსი მოჭიდავეებისათვის გაკვეთილების ჩატარებაში.

**საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები**

- მიიღოს მონაწილეობა ეკლესიის დასუფთავებაში;
- დაეხმაროს საბავშვო ბაღის პერსონალს სხვადასხვა აქტივობებში;
- დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში;
- მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების აქტივობაში;
- იაროს სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში და დაეხმაროს ბავშვებს, წაუკითხოს მათ ზღაპრები და მოთხრობები, შეასწავლო ქართული ხალხური ცეკვა, ორიგამის ხელოვნება, კომპიუტერული პროგრამირება, დაეხმაროს საგნობრივი სირთულეების დაძლევაში, ჩაუტაროს მუსიკის გაკვეთილები, ასწავლოს ინგლისური ენა;
- მიიღოს მონაწილეობა კულტურის ცენტრთან არსებული ბიბლიოთეკის კარტოთეკის დალაგების პროცესში;
- დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცს საოჯახო და სასოფლო-სამურნეო საქმიანობაში;
- კეთილმოწყობის სამსახურის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების საქმეში;
- სოციალურად დაუცველ პირთა სასადილოდან მიუტანოს კუთვნილი ულუფა მოხუცებს;
- დაეხმაროს განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სხვადასხვა საქმიანობაში;
- დაეხმაროს  საჯარო სკოლის დირექციას სკოლის ეზოსა და შენობის მოწესრიგებაში;
- ჩაერთოს მოხუცთა დღის ცენტრში მუსიკალური საღამოს საორგანიზაციო აქტივობებში;
- მოამზადოს პრეზენტაცია ბულინგის თემაზე და წარადგინოს სკოლის მოსწავლეებთან;
- დაეხმაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექციას სამსახურეობრივ საქმიანობაში;
- დაეხმაროს ზოოპარკის მომსახურე პერსონალს სამსახურეობრივ საქმიანობაში.

# განრიდება

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო